

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდება (შემდგომში - წოდება) შეიძლება მიენიჭოს როგორც საქართველოს, ასევე მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის სრულწლოვან მოქალაქეს, განურჩევლად ეროვნებისა, სოციალური ცენზისა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებისა და რელიგიური აღმსარებლობისა, თუ მისი მოღვაწეობა და განცხადებული იდეები მიმართული არ არის საქართველოში დამკვიდრებული კულტურული ტრადიციების, ზნეობრივ-ეთიკური ნორმებისა და სულიერი ცხოვრების წესის წინააღმდეგ.

2. წოდება შეიძლება მიენიჭოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეს, განურჩევლად ასაკისა, სქესისა, ეროვნებისა და რელიგიური აღმსარებლობისა.

3. წოდება ენიჭება პიროვნებას ლანჩხუთის წინაშე განსაკუთრებული ღვაწლისა და დამსახურებისათვის, საგანგებო ვითარებისას გაწეული უანგარო სამსახურისათვის, რომლის საქმიანობა და აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია სამაგალითოა ლანჩხუთელთა თაობისათვის. წოდება ენიჭებათ მხოლოდ კონკრეტული დამსახურებისათვის. დაუშვებელია წოდების მინიჭება მხოლოდ ნამსახურევი წლებისა და საიუბილეო თარიღის გამო.

4. წოდება დასტურია: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის, განათლების, კულტურის, ხელოვნების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, ბუნებათსარგებლობის და ეკოლოგიის, შემოქმედებითი, საზოგადოებრივი და სულიერი ცხოვრების განვითარებისათვის, უანგარო სიქველისა და სიმამაცისათვის, პატივებისა და აღიარებისა

5. წოდების ჩამორთმევა დაუშვებელია, გარდა უღირსი ჩადენისა, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლის ან საკუთარი ინიციატივის შემთხვევაში, რასაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წყვეტს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

მუხლი 2. წოდების მისანიჭებლად კანდიდატურის წამოყენება

1. წოდების მისანიჭებლად კანდიდატურის წამოყენების უფლებამოსილება აქვს:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედ წევრს;

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელს;

გ) საზოგადოებრივ, პროფესიულ და შემოქმედებით კავშირებს და ორგანიზაციებს;

დ) საპატიო წოდების მქონე მოქალაქეთა ჯგუფს;

ე) საქართველოს პარლამენტის წევრს;

ვ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს.

2. წოდების მისანიჭებლად კანდიდატურის წამოყენების უფლებამოსილი პირები, კანდიდატურას წერილობითი სახით წარუდგენენ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, რასაც თან უნდა ერთვოდეს: